

ლაბორატორიების ხარისხის კონტროლის ეროვნული პროგრამის მოდელის  
შეფასება და ანალიზი ც ჰეპატიტის დიაგნოსტიკის მიმართულებით  
საქართველოში

ნინო ბერიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და სანჟინრო ფაკულტეტზე მოლეკულური  
ბიომეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

მოლეკულური ბიომეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: რევაზ სოლომონია  
თანახელმძღვანელი: გვანცა ჭანტურია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2018

## აბსტრაქტი

C ჰეპატიტი არის ღვიძლის დაავადება, რომელიც გამოწვეულია C ჰეპატიტის ვირუსით. ვირუსი მიეკუთვნება ფლავოვირუსების ოჯახს, რომლის გენომი წარმოდგენილია დადებით ჯაჭვიანი რნმ-ით. ამ ვირუსს შეუძლია გამოიწვიოს ღვიძლის როგორც მწვავე, ისე ქრონიკული ინფექცია. ის შეიძლება იყოს მსუბუქად მიმდინარე და მხოლოდ რამდენიმე კვირა გაგრძელდეს, ან მძიმე და ქრონიკული, რომელიც ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვება. მსოფლიოში 170-200 მილიონი ინფიცირებული ადამიანია და ყოველწლიურად 350 000-ზე მეტი ადამიანი კვდება C ჰეპატიტთან ასოცირებული ღვიძლის დაავადებით. 2015 წლის მონაცემებით, დაახლოებით 150 000 ადამიანი იყო ინფიცირებული C ჰეპატიტის ვირუსით საქართველოში. ამავე წელს, საქართველოში დაინერგა C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა, რომლის ამუშავებასთან ერთად, აუცილებელი გახდა დანერგილიყო ერთიანი ხარისხის კონტროლის სისტემა. ეფექტური მკურნალობისთვის მნიშვნელოვანია სწორი და სწრაფი დიაგნოზი. ამისათვის საჭიროა ზუსტი, მაღალხარისხიანი მოლეკულური დიაგნოსტიკა. შესაბამისად, აუცილებელი გახდა საქართველოში ხარისხის გარე კონტროლის პროგრამის შემუშავება. კვლევის მიზანი იყო ლაბორატორიების ხარისხის კონტროლის ეროვნული პროგრამის მოდელის შექმნა C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის მიმართულებით და პროგრამაში მონაწილე კლინიკებისათვის ლაბორატორიული სერვისების გარე კონტროლის სქემების მიწოდება. ამისათვის, პროგრამაში მონაწილე 15 ლაბორატორიას დავურიგეთ C ჰეპატიტის ხუთი ნიმუშისგან შემდგარი პანელი. ორი კვირის შემდეგ, ლაბორატორიებისგან მიღებული შედეგები სტატისტიკურად დავამუშავე და თითოეულ მათგანს გავუზავნე ინდივიდუალური ანგარიში. მიღებული პასუხების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ გარე ხარისხის კონტროლის პროგრამა წარმატებით გაიარა კვლევაში მონაწილე ყველა ლაბორატორიამ.